ოლიმპიადა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ოლიმპიადის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად ***უნდა შეასრულოთ ორივე დავალება*** *(წერითი დავალება № 1 და წერითი დავალება № 2).*

დავალებათა შესასრულებლად გეძლევათ ***3 საათი.***

თითოეული ნაშრომის ***მაქსიმალური ქულაა 20.***

ორივე თხზულება უნდა გადაიტანოთ ***პასუხების ფურცელში.***

წერითი დავალება № 1

ინსტრუქცია:

მოცემული ორი ტექსტიდან აირჩიეთ **<u>მხოლოდ ერთი</u>**. კარგად გაიაზრეთ იგი, იმსჯელეთ, რის თქმა სურს ავტორს და გამოხატეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება.

ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად დასაბუთებული იქნება ესა თუ ის შეხედულება შესაბამისი არგუმენტებით.

სასურველია ნაშრომი დაახლოებით ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს. მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ წაკითხული წიგნი, ნანახი ფილმი თუ სპექტაკლი.

დავალების პირობის შემდეგ დატოვებული ადგილი შეგიძლიათ შავი სამუშაოსათვის გამოიყენოთ.

ნამუშევარი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში.

გაითვალისწინეთ, ***შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.***

გისურვებთ წარმატებას!

1.

სულხან-საბა ორბელიანი

მოტირალი და მოცინარი

ორნი კაცნი იყვნენ ქალაქსა ერთსა. ერთი წამდაუწუმ სულ ტიროდა და ერთი სრულობით იცინოდა, რომე მოწყენილს ვერავინ ნახევდა.

ჰკითხეს მოტირალს კაცსა: ავზე და კარგზე, საცინალზე და სატირალზე სულ რატომ სტირიო?

მან ეგრე თქვა: რა ვქმნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შვრებიან, საუკუნო სასჯელი დაუვიწყებიათ, და მით ვტირი, ყოველნი ჯოჯოხეთს იშენებენო.

მერე მას მოცინარეს კაცს ჰკითხეს: შენ რა გაცინებსო?

მან ესრე თქვა: ესე სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შვრებიან, კარგს არ იქმონენ. ყოველს კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე რა და აწ სიცილს ძალი მივეც. მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია და ან მათი რა სარგებელია?

2.

გალაკტიონ ტაბიძე

თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი

თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.
დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.
ელვარებს ღუმელი. ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება.
გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.
იფანტება თეთრი ფიქრები, იფერფლება ხელნაწერი...
ნუ ჩამიქრები... და იქაც, შიგნით, სულში...
თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.

დაწერეთ <u>ერთ-ერთი</u> ტექსტის ანალიზი.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

წერითი დავალება № 2

ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას, გაიაზრეთ იგი და წერა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეთ. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად საფუძვლიანად და ორიგინალურად იქნება დასაბუთებული ესა თუ ის შეხედულება და არა იმის მიხედვით, დაემთხვევა თუ არა თქვენი მოსაზრება საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს.

სასურველია ნაშრომი დაახლოებით ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს, რათა მასში სრულად აისახოს თქვენი დამოკიდებულება დასმული საკითხის მიმართ. მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ წაკითხული წიგნი, ნანახი ფილმი თუ სპექტაკლი, სხვათა ნაამბობი, საკუთარი გამოცდილება და ა. შ.

დავალების პირობის შემდეგ დატოვებული ადგილი შეგიძლიათ შავი სამუშაოსათვის გამოიყენოთ.

ნამუშევარი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში.
გისურვებთ წარმატებას!

დაწერეთ თხზულება – „ტყუილი და სიმართლე“

1. „ტყუილი – ეს სხვა ადამიანთა სიმართლეა“ *(ოსკარ უაილდი).*

2. „შეიძლება იტყუებოდე სიყვარულში, პოლიტიკაში, მედიცინაშიც შეიძლება მოატყუო ადამიანები, მაგრამ ხელოვნებაში მოტყუება შეუძლებელია“ *(ანტონ ჩეხოვი).*

მსჯელობისას ამ ორი მოსაზრებიდან ერთ-ერთი მაინც უნდა გამოიყენოთ.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

ორივე წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა ***20.*** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***<u>უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას</u>***. თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

თუ მოსწავლის ნაშრომი **არ უპასუხებს** დავალების პირობას ან დავალება მთლიანობაში **არაადეკვატურადაა გაგებული,** ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ **აზრის გაგება ჭირს,** ***<u>დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება</u>***.

კრიტერიუმების ჩამონათვალი

№	*კრიტერიუმები*	*კრიტერიუმთა განმარტებანი*	*მაქსიმალური ქულა*
I	დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება	მოსწავლეს მოეთხოვება დავალების ადეკვატური გაგება და მისი სიღრმისეული გააზრება.	2
II	ნაშრომის აგება	მოსწავლეს მოეთხოვება მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	2
III	მსჯელობის დასაბუთება	მოსწავლეს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება შესაბამისი მაგალითებით.	4
IV	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, აგრეთვე, ზოგადი განათლება და ფართო ერუდიცია.	3
V	ლექსიკა და სტილი	მოსწავლეს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე, ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნების დაცვა.	3
VI	სინტაქსი	მოსწავლეს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	3
VII	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	მოსწავლეს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	3

I კრიტერიუმი

№	*დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალება ***ადეკვატურადაა*** გაგებული და გააზრებული.	2
2.	დავალება ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გაგებული და გააზრებული.	1
3.	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	2
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** დარღვეულია ტექსტის ლოგიკა *და/ან* აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	1
3.	ნაშრომში ***დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული ***არ არის.***	0

III კრიტერიუმი

№	*მსჯელობის დასაბუთება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული და არგუმენტები ***გამყარებულია*** შესაფერისი მაგალითებით.	4
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები ***არაადეკვატურია.***	3
3.	მსჯელობა ***ზერელედაა*** დასაბუთებული, ***ხშირ*** შემთხვევაში არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
4.	მსჯელობა ***ძალზე ზოგადია,*** არგუმენტების მოხმობისას ***დაშვებულია*** უზუსტობა ან ფაქტობრივი შეცდომა.	1
5.	მსჯელობა დასაბუთებული ***არ არის.***	0

IV კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ***ფართო*** ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მისი ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მოსწავლის ერუდიციაცა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა ერუდიცია.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ერუდიცია.	0

V კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება ***ორიოდე*** სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია,*** გვხვდება ***რამდენიმე*** სტილისტური ხარვეზი.	1
4.	თხზულება ლექსიკურად და სტილისტურად ***გაუმართავია.***	0

VI კრიტერიუმი

№	*სინტაქსი*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული სინტაქსური შეცდომა.	3
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	2
3.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***ორზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***ორზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	3
2.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***ხუთზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	2
3.	ნაშრომში არ არის დაშვებული ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	0